ცნობის ფურცელი

№ 2386 ხუთშაბათი, 22 იანვარი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2386

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ ფასი კანცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ...ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს 22 იანვრისთვის, ახალ-სენაკში დანიშნულია წლის წირვა, პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა განსვენებულის ახალ-სენაკის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის პოლკოვნიკის

თ. ფარნაოზ დავითის ძის მხეიძისა.

მეუღლე განსვენებულისა კნეინა სოფიო ერასტის ასული მხეიძისა სთხოვს ნათესავთ და ნაცნობთ პატივი სცენ და მობძანდნენ. 1—35—1

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა ჰისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 22 იანვარს, 1904 წ., წარმოდგენილი იქნება

ვინძორის ნათლიდედები

ოპერა 5 მოქ. მუს. მეიერბერისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი არციბაშევა, კარტავინა, სელიუკ; ბ-ნნი რაისკი, სელიავინი, გლადკოვი, ...ჟუკოვი, ფედოროვი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 23 იან.—„გალკა“; 24 იანვ. რაისკის საბენეფისოდ—„ევგენი ონეგინ“.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ქამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ბრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. —5 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ნპარმაკლიძისა. (0—6.—38)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

გერმანული გაზ. „ნოიე ფრაიე პრესე“ რუსეთ-იაპონიის დავაზე სწერს: ვენის პოლიტიკოსთა წრეები ამ უკანასკნელ დღეებში უფრო შიშის თვალით უყურებენ შორეულ აღმოსავლეთის საქმეს. ამ წრეებს ეშინიათ, ვაი თუ იაპონიამ რუსეთს მოსთხოვოს, მტკიცე გარანტია მომეცი, რომ ნაკისრ მოვალეობასა და მოცემულ პირობას პირნათლად შევასრულებო. ყველა გამოცდილი დიპლომატი იმ აზრისაა, რომ რუსეთის გარანტიის მოთხოვნა ძლიერ ეწყინება და იქმნება იაპონიის მოთხოვნილებამ საქმე უფრო გაამწვავოს და ომის გამოცხადება უფრო გააადვილოსო.

პარიზელ პოლიტიკოსთა წრეებიც ამავე აზრისა ყოფილან. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: აქაურ პოლიტიკოსთა წრეებს ეშინიათ, ვაი თუ იაპონიამ რუსეთს დადებულ პირობის გარანტია მოსთხოვოსო.

„კელნიშე ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: ინგლისურ გაზეთებს მეტად ასაღელვებელი ამბები მოსდით ტოკიოდან. რუსეთის მთავრობამ პასუხის გაგზავნა დააგვიანა. ეს ამბავი უფრო აღელვებს იაპონელებს. კორეიაში ჯარის გადაყვანის თაობაზე არეული ამბები მოდის. აქ ჰფიქრობენ, ალბად, იაპონელებმა ტელეგრაფის მავთულები გადასჭრეს და ამიტომ კორეიდან დეპეშა ვეღარ მოდისო.

ინგლისურ გაზეთებს ტოკიოდან 12 იანვარს ასეთი დეპეშა მოჰსვლიათ: ყველა დარწმუნებულია, რომ იაპონიამ კორეიაში ჯარი გადაიყვანაო. აქ რუსეთის ჯაშუში დაიჭირეს და სამხედრო სამართალში მისცეს.

ინგლისური გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: იაპონიამ ჩემულპოში ჯარი გადაიყვანა და ზარბაზნები გადაიტანა; არ ვიცით მხოლოდ, ბევრი ჯარი გადაიყვანა, თუ ცოტა. პარიზში ამას წინად ხმა გავარდა, იაპონია ოთხ დივიზიის გადაყვანას აპირებს კორეიაშიო; შეიძლება იაპონიას ეხლა სწორედ ეს ოთხი დივიზია გადაეყვანოს ჩემულპოში; იქნება ეს ჯარი იაპონიის საელჩოს დასაცველადაც იყოს წასული. ეს მეორე მოსაზრება უფრო სწორე უნდა იყვეს, მით უმეტეს რომ ამას წინად ჩემულპო-სეულის რკინის გზაზე უწესოებაც მოხდა.

ამერიკულ გაზ. „ნიუ-იორკ. ჰერალდ“-ს სწერენ სეულიდან: ამას წინად ერთ კვირა დღეს სეულში ტრამვაის კონდუქტორს ხალხი დაეცა და მძიმედ დასჭრა. კონდუქტორი საავადმყოფოში წაიყვანეს. თუმცა ეს ამბავი პოლიციის სადგომს ახლო მოხდა, კორეის პოლიციამ მაინც ხელიც არ გაანძრია წესიერების აღსადგენად. ტრემვაის ვაგონი გადააბრუნეს და დაამტვრიეს. უფრო დიდი უწესოებანიც მოხდებოდა, მაგრამ ამერიკელების დამცველი რაზმი მოვიდა და ხალხი ხელად გაჰფანტა. კორეის მთავრობამ, როგორც იყო, სამის საათის შემდეგ ჯარის-კაცები გამოგზავნა უწესოების ადგილას და ამერიკელი რაზმი მაშინვე შინ დაბრუნდა.

„ტაიმს“-ის ტოკიელი კორესპონდენტი იუწყება: ვლადივოსტოკიდან კერძო ცნობები მომივიდა, რუსეთის მეზღვაურთა რაზმი 9 იანვარს ვლადივოსტოკში მცხოვრებ იაპონელებს დაეცა, 24 სახლი დაანგრია და ქალები, ბავშვები და ბერიკაცები საზარლად დატანჯა. მეზღვაურები სრული 20 საათი იკლებდნენ იაპონელებს; ოფიცრებიც თან დასდევდნენ. სამოქალაქო მოხელეებმა მეზღვაურებს ხმაც არ გასცეს.

რუსეთის სატელეგრაფო სააგენტომ გამოაცხადა, ეს ცნობა სწორე ცნობა არააო.

ევროპიულ პრესის აზრი რუსეთსა და იაპონიაზე

ბელგიურ გაზ. „ინდეპანდანს ბელჟ“-ს ვრცელი წერილი დაუბეჭდია სათაურით „რუსები და იაპონელები“. ამ წერილის შინაარსი რუსულ გაზ. „ნოვოე ვრემია“-ში ამნაირადაა გადმოცემული:

„ავტორი თავდაპირველად ჰკითხულობს, ვისი კულტურა სჯობია, რუსებისა თუ იაპონელებისა? ამ ორ კულტურაში რომელი უნდა ამჯობინონ ევროპიელმა პოლიტიკოსებმაო? მერე ავტორი ასეთს პასუხს იძლევა: „დასავლეთ ევროპის აზრებმა მეტის-მეტად საკვირველი ზნეობრივი რევოლიუცია მოახდინეს იაპონიაში; რუსეთზე-კი დღემდე ნამცეცი გავლენა ვერ იქონიეს ამ აზრებმა, ევროპის განათლებამ რუსეთს ყურიც ვერ გააბერტყინა. ჩინეთის ერმა ორიოდე წელიწადში უფრო კარგად შეითვისა ევროპის იდეები, ვიდრე რუსებმა. ვინ ამბობს, რასაკვირველია, რუსეთიც წინ მიდის, მაგრამ ისეთის გულ გასასიებელის ნელის ნაბიჯით მიდის წინ, რომ მთელის ქვეყნიერობის პროგრესსა და განვითარებასაც მეტად ხელს უშლის და აბრკოლებს. ძლიერ სცდება ის, ვინც ჰფიქრობს, რომ ყოველი ერი პოლიტიკურ განვითარებას მხოლოდ ნელის, მძიმესა და მედგარის შრომის შემდეგ აღწევსო. ეხლა ეროვნულ ტრადიციებსა და ჩვეულებას ის კულტურული მნიშვნელობა და ძალა აღარა აქვს, როგორიც უწინ ჰქონდა. ჩვენს დროში ახალი აზრები ელვასავით სწრაფად გადადის ერთის ქვეყნიდან მეორეში და მთელს დედამიწის ზურგს ეფინება. ამიტომ ჩვენს დროში ყველა ნიჭიერს ერს ადვილად შეუძლიან პროგრესიული აზრები შეითვისოს და მოწინავე ერებში გაერიოს. ამისთვის არც დიდებული წარსულია საჭირო, არც მეტის-მეტი ხანგრძლივი ზნეობრივი განვითარება“.

ავტორი თავისს წერილს ასე ახასიათებს: ცხადია ყველასათვის, რომ ევროპა იაპონიას უნდა თანაუგრძნობდეს და არა რუსეთსაო“.

„ნოვოე ვრემია“ „ინდეპანდანს ბელჟ“-ის წერილის საბუთებს სათითაოდ არჩევს და ამტკიცებს, რუსებს კულტურისა და განვითარების უნარი სხვა ერებზე ნაკლები როდი აქვთო.

„ნოვოსტი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: უმთავრესი ინგლისური გაზეთები „ტაიმს“-ის წინამძღოლობით ერთგულად იცავენ იაპონიის ინტერესებსა და უფლებას. ასე მაგალითად „მორნინგ პოსტ“-მა შესანიშნავი წერილი დაჰბეჭდა რუსეთ-იაპონიის დავაზე. წერილის ავტორი მიუდგომლად ასწერს რუსეთ-იაპონიის დავის ისტორიას და ამავე დროს მკაცრად ჰგმობს რუსეთის პოლიტიკას და მედგრად ესარჩლება იაპონიის ინტერესებს. ავტორი ამტკიცებს: სადაც სამართალია, მთელი განათლებული ქვეყნიერობა უნდა შეერთდეს და რუსეთს შეებრძოლოსო. დასასრულ ავტორი სწერს: რუსული პრესა ევროპას აშინებს, იაპონელები მთელ ყვითელ მოდგმისა და მთელის აზიის შეერთებას ცდილობენ ევროპის ერებისა და ქრისტიანობის გასანადგურებლადაო. „ყვითელ საფრთხისა“, სარწმუნოებრივ და ეროვნულ სიძულვილის ქადაგებით რუსული პრესა ვერავის შეაცდენს, მხოლოდ ბევრს-კი გააცინებს!“

რასაკვირველია, არც ეს კორესპონდენტი ეთანხმება „მორნინგ პოსტ“-ის აზრსა.

* * *

მთავრობის განცხადება

„პრავიტ. ვესტნ.“-ში (№ 12) დაბეჭდილია: ტვერის გუბერნიის საერობო დაწესებულებათა მოღვაწეობა კარგა ხანია უკვე ყურადღებას იქცევს იმით, რომ ამ მოღვაწეობის მიმართულება არ შეეფერება სახელმწიფო წესრიგის მოთხოვნათ. ეს მიმართულება ხანდახან თავს იჩენდა განსაკუთრებულის უწესო ფაქტებით, რომელთა შესახებ არა ერთხელ წარედგინა მოხსენება ხელმწიფე-იმპერატორს. უმაღლესის ბრძანებით, ხსენებულ უწესოებათა თავიდან ასაცილებლად არა ერთხელ იქმნა მიღებული სხვა და სხვა საჭირო ღონისძიება. ეს ღონისძიებანი თუმცა დროებით გამოაფხიზლებდნენ ხოლმე ერობის მოღვაწეთ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ სწორე გზაზე დაეყენებიათ ერობა. უკანასკნელ წლებში ტვერის საგუბერნიო ერობის მავნე მოღვაწეობა უფრო გამწვავდა; ეს, სხვათა შორის, გამოიხატება იმით, რომ საერობო კრებებზე მოღვაწენი ისეთ რამეებზე მსჯელობდნენ, რაც ხალხს აღელვებს და ამასთანავე მუდამ ცდილობდნენ ადგილობრივ მთავრობის წინააღმდეგ ემოქმედნათ.

გარდა ამისა აღმოჩნდა, რომ ტვერის გუბერნიის საერობო დაწესებულებათა მოწყობაში კანონიც დაურღვიათ. ერობამ დააარსა სხვა და სხვა აღმასრულებელი კომიტეტები და კომისიები, რაც კანონში არ არის მოხსენებული და მოხელეებად მოიწვია ამ კომიტეტ-კომისიებში გარეშე პირნი. ეს კომისია-კომიტეტები თავდაპირველად დაარსებული იყო ერობის დასახმარებლად, მაგრამ შემდეგ მათ ხელში გადავიდა საერობო მოღვაწეობის სხვა და სხვა ნაწილი და ამრიგად მართვა-გამგეობის საქმე და ერობის მოღვაწეობის ასე თუ ისე წარმოება გარეშე პირთა უფლებად შეიქმნა. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ ეს გარეშე პირნი ცდილობდნენ შეედგინათ შეკავშირებული საზოგადოება, რათა ერობის სამსახურში მხოლოდ თავიანთი ერთმოაზრენი მიეღოთ.

ყველა ამ გარემოებამ განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა სახალხო განათლების საქმეზე. სამოსწავლო უწყება არა ერთხელ ატყობინებდა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ტვერის გუბერნიაში საერობო გამგეობებთან დაარსებულია განსაკუთრებული საბჭოები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ სახალხო მასწავლებელნიც-კი; ეს საბჭოები ხელს უშლიან მთავრობის ზედამხედველობას საერობო სკოლებზე. მაგალითად, ნოვოტორჟსკის საერობო გამგეობასთან 1903 წელს დაარსდა კომიტეტი სახალხო მასწავლებელთაგან, რომელმაც მაშინვე მიიღო ღონისძიებანი კომიტეტის წევრთათვის არა სასურველ მასწავლებელთა დასათხოვნად.

სამოსწავლო უწყების განცხადებანი ნოვოტორჟკის საერობო გამგეობის უკანონო მოქმედებათა შესახებ სრულიად გამართლდა ჰოფმეისტერის შტიურმერის რევიზიით, რომელიც მოხდენილ იქმნა უმაღლესის ბრძანებით წარსულ წლის ბოლოს, აგრეთვე იმ ცნობით, რომელიც პოლიციის დეპარტამენტს მოსდიოდა.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი

◆ ფინანსთა სამინისტროს, როგორც „კავ.“-ს გაუგია, წარედგინა დასამტკიცებლად

წესდება ახალ საზოგადოებისა. ამ საზოგადოებას სახელად ჰქვიან: „სააქციონერო საზოგადოება ჭიათურის მარგანეცის ელევატორებისა და სამექანიკო მოწყობილებებისა“ საზოგადოებას აარსებს პ. კ. ნარიშკინი. ძირის თანხად საზოგადოებას ექნება 2 მილ. ნახევარი მანეთი, 10 ათასი აქციად განაწილებული. საზოგადოებამ უნდა გამართოს და აწარმოვოს ელევატორები და ააგოს სამექანიკო მოწყობილებანი. სხვათა შორის საზოგადოება მიიღებს შესანახად შავ-ქვას.

◆ კავკასიის ჯართა მეორე კორპუსის არტილერიის უფროსს ამას წინად უცნობებია გუბერნატორისათვის, რომ **ვერაზე**, იმ ადგილის გარშემო, სადაც არტილერიის თოფის წამლისა და სხვა მასალის საწყობებია, მიწებს პატარ-პატარა ნაჭრებად ჰყოფენ და ჰყიდიან სახლების ასაშენებლადაო. არტილერიის უფროსი სწერს, რომ 200 საჟენზე ახლო აკრძალულია სახლების აშენებაო, ამიტომ სთხოვს გუბერნატორს, დაავალოს ქალაქის გამგეობას ნება არ მისცეს ადგილების დაყოფისა და გაყიდვისა ყოველშემთხვევაში, სახლების აშენებისა მაინც. საგუბერნიო საამშენებლო გამგეობამ ეს ამბავი, გუბერნატორის განკარგულებით, გუშინ ქალაქის გამგეობას აცნობა.

◆ **რკინის გზის** გამგეობის განკარგულებით, იმ მოსამსახურეთ, რომელნიც ავადმყოფობის ფურცელს (ბიულეტენს) აიღებენ და რკინის გზის ექიმს კი არა კერძო ექიმს აჩვენებენ და ისე დააკლდებიან სამსახურს, ეს დაკლებული დრო სამსახურში არ ჩაეთვლებათ და ჯამაგირიდანაც შესაფერი ⁰/₀ გამოერიცხებათ.

◆ დღეს, 22 იანვრისთვის, დანიშნულია **კრება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს 1) მიმდინარე საქმეები (მსოფლიო გამოფენაზე გასაგზავნი კოლექციები), 2) კომისიის აზრი ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ პროექტის შესახებ და მოხსენება ა. ა. ქალანთარისა მერძეობაზე. კრება მოხდება საღამოს 8 საათზე საზოგადოების სადგომში.

◆ ჰფიქრობენ, **ნაძალადევში რკინის გზის** სკოლის დაარსებას.

◆ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასდოს 2500 მან. 12 **სასწავლებლისათვის ფარნების შესაძენად.**

◆ მიწად-მოქმედების მინისტრმა კიდევ გადასდო ფული ტფილისის **საბოტანიკო ბაღში** ახალ შენობების ასაგებად. უნდა ააგონ შენობები ლაბორატორიებისა, კაბინეტებისა, ჰერბარიებისა და წიგნთ-საცავისათვის.

◆ შემოდგომაზე შეუდგებიან მუშაობას ტფილისის **სატეხნიკო** (რკინის გზის) **სასწავლებლის** შენობის გასაფართოვებლად. შემოდგომაზევე გაიხსნება პირველ კლასის პარალელური განყოფილება. ამბობენ, მომავალ სამოსწავლო წლიდან ახალსა, უფრო ფართო, პროგრამას შემოიღებენო.

◆ **„კავკაზ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ:** დაინიშნენ: ორლოვის ოლქის სასამართლოს პროკურორი ნესტელბერგი,—ტფ. სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგად; ტფ. სამოს. პალატის პროკურორის ამხანაგი ლემერმანი—ტფ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ; ტფ. სამოს. პალატის წევრი რიაზანოვი—ოდესის სამოს. პალატის წევრად; ნუხის მაზრის უფროსი ასანიძე—განჯის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად; ბათუმის პოლიცმეისტერი ლოვენი—ართვინის ოლქის უფროსის თანამ. ალმასრულებლად.

◆ როგორც „კავკ.“-სავე ატყობინებენ, უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია, გაადიდოს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ტარიფი საზღვარ-გარედ **გასატან ნავთისა.** ფუთზე ამიერიდან 19 კაპ. იქნება.

◆ 20 იანვარს მოხდა კრება ტფილისის **პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა.** კრებამ, სხვათა შორის, განიხილა ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა.

◆ გუშინ 20 იანვარს, ახალ-ბაიაზეთის ქუჩის სახლის პატრონებმა სთხოვეს ტფილისის ქალაქის გამგეობას, მოიკირწყლოს იმათი ქუჩა და გაიყვანოს იქ წყლის მილი. ამ ქუჩის სახლის პატრონები ამბობენ თავიანთ განცხადებაში: კარგა ხანია ქალაქის გამგეობას ვსთხოვეთ ქუჩის მოკირწვლა და წყლის მილის გაყვანა, მაგრამ არა გვეშველა-რაო.

◆ გუშინ წინ 20 იანვარს, პოლიციის მე-8 ნაწილში ერთი არა ჩვეულებრივი ცემა-ტყეპა მოხდა. რიყის ქუჩაზე, ოსიპოვის სასმელების დუქანში, ოთხს მალაკანს რამდენიმე ხანი უხარჯავთ და, თუმცა ოსიპოვს უთხოვნია, მაგრამ იმათ დანახარჯი დროზე არ გადაუხდიათ. 20 იანვარს კიდევ შესულან სასმელად ეს ოთხი მალაკანი და, როცა დახლიდარს ფული მოუთხოვნია, იმათ უარი უთქვამთ, მერე გადაგიხდითო. ამაზე შეჰყოლიან ლაპარაკს, რომლის დროსაც მედუქნის ბიჭები და მალაკნები ერთმანერთს დასტაკებიან და მალაკნებისათვის კარგად უცემნიათ. ნაცემებს ეს ამბავი უცნობებიათ თავიანთ ამხანაგებისათვის. შეკრებილა 30 კაცი, კარგად შექეიფიანებულან სადღაც დუქანში და შემდეგ, ასე საღამოს 6 საათზე, მისცვივნიან ოსიპოვის დუქანს ხის კეტებით. მალაკნებმა აღარაფერი არ დაზოგეს. ჩალეწეს ფანჯრები, სასმელი ჭურჭლები დახლში, გადაატრიალეს სტოლები და სხვა. ოსიპოვის დუქანში მყოფი ბიჭები შეებრძოლნენ მალაკნებს. შეიქმნა ხელ-ჩართული ბრძოლა და გაკითხვა აღარ იყო, ვინ ვისა სცემდა. ამ ჩართულ ბრძოლაში მეტად დალალულნი და თავ-პირდამტვრეული გამოვიდა 15 მალაკანი. პოლიციამ დააპატიმრა ოსიპოვის დუქნის ამკლები მალაკნები და გამოძიებას შეუდგა.

◆ გუშინ, 12 იანვრარს, ივანე პოლუმორდვინოვმა განუცხადა პოლიციას, რომ 20 იანვარს, ნაშუაღამევის 1 საათზე, იმ დროს, როცა სახაზინო თეატრში „ღალატის“ წარმოდგენა გათავდა და ფოიეში პალტოს ვიცვამდი, ვიღაც ჯიბგირმა ამომაცალა 200 მანეთად ღირებული ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვითაო.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში, დავითის ქუჩაზე, სახლის № 27 სარდაფში, სურმალინის მაზრის მცხოვრებ მუშის უსუფ-ოღლის ბინაზე პოლიციამ აღმოაჩინა ერთი ყუთი მოპარული ნივთები: ჩაის კოვზები, სტოლის კოვზები, ჩექმები და სხვა, სულ 70 მანეთისა. როგორც აღმოჩნდა, ეს ნივთები მუშას მოუპარავს „ანონა“-ს სასტუმროდან. იმავე მუშას აღმოაჩნდა საბინ-გუსისათვის 30 დეკემბერს მოპარული ოქროს საათი, 300 მან. ღირებული.

◆ 20 დეკემბერს ნიკოლოზის ქუჩაზე ჯაფარიძის სადგომში დაჭრილი ნახეს 18 წლის ქალი ანეტა აბაშიძე. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს. ჭრილობა მართალია საშიშოა, მაგრამ ქალი ჯერ ისევ ცოცხალია.

—

◆ დღევანდელ დამატებასთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების 186 №-რი.** შინაარსი: „უბსკრული“, მოთხრობა ლეონიდ ანდრეევისა, თარგმანი ს. წერეთლისა; ნარევი; სურათები გურიის ცხოვრებიდან: „სიმინდის თოხნა“, „სიმინდის ტეხა“, „მაგანას (ნამგალის) გალესვა“, „ყანის ფარცხვა ნიგოითში“, „სადილობა ყანაში“, „სიმინდის ტეხა ნიგოითში“; და ორი კარიკატურა.

შინ და გარედ

60.

ნეტავი ფეხი მომტეხოდა და სამშაბათს ქართულ წარმოდგენაზე არ წავსულიყავი! ჩემის თვალით არ ვნახავდი მაინც და ჩემის ყურით არ მოვისმენდი ჩვენს შერცხვენასა და დამცირებას!!.

ჩვენი გაზეთის დარბაისელი რეცენზენტი ლმობიერად ეპყრობა არტისტებს და ამბობს, „ღალატი“ სუსტად წარმოადგინესო. მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია არ ვიყვირო: სუსტი რას მიქვია, **საძაგელი წარმოდგენა იყო!..**

რა იყო, რა იყო, ვერ წარმოიდგენ მკითხველო! სცენაზე გმირები-კი არ იყვნენ, აღფრთოვანებულნი დიადის ბრძოლით მტარვალთა წინააღმდეგ, ტიკინები მიდი-მოდიოდენ და რაღაცას ჩურჩულებდნენ. არის ცნობილი ბალეტი „ტიკინების ფეია“, სადაც მომქმედ პირთ თითქო პრუჟინების მექანიზმი ამოძრავებს და ხანდახან სიტყვებსაც წარმოასრულებს: „პაპა“, „მამა“—მღერის ტიკინი და ცეკვავს სცენაზე...

ცეცხლი რას ჰქვია—ნაპერწკალიც არ იყო! არც გრძნობა, არც ტემპერამენტი, არაფერი!! გაგვყინეს, გაგვაციეს. სრულიად გააქარწყლეს ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ბ. კრასოვის დასის წარმოდგენამ დაგვიტოვა.

რა უნდა ვთქვათ არტისტებზე, რომელნიც თავ. სუმბათაშვილის გმირულმა პიესამ ვერ ააღელვა, ვერ გაიტაცა! რა უნდა ვთქვათ იმ არტისტებზე, რომელთაც ასეთის შესანიშნავ ეფექტებით ვერ ისარგებლეს!..

მოსკოვიდან, ოდესიდან, როსტოვიდან, ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ყოველ მხრიდან მოდის აღმაფრთოვანებელი ამბავი—სუმბათაშვილის პიესამ ხალხი ააღელვა, აღაშფოთა და წმინდა გრძნობებით აღამაღლაო. ჩვენს სცენაზე ხომ უფრო დიდი ამბავი უნდა მომხდარიყო; ჩვენთვის, ჩვენ არტისტებისთვის პიესას ხომ ცეხლი უნდა წაეკიდებინა?! მის მაგიერ ცივი წყალი გადაგვასხეს და ისე გამოგვისტუმრეს. მერე გარეშეებით მაინც არ ყოფილიყო სავსე თეატრი. მოვიდა რუსობა, სომხობა,—ყველა ელოდა, ქართველები თავს ისახელებენ ამ გმირულ პიესითაო და ჩვენ მაგიერ რცხვენოდათ, თვალში პირდაპირ ვერ გვიყურებდნენ, ვებრალებოდით... ნეტავი იმათაც, მეც, თქვენც, ერთის სიტყვით ყველას „ფეხი მოგვტეხოდა“ და იმ დღეს თეატრში არ წავსულიყავით. სჯობდა, ათასწილად სჯობდა!..

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ ირკუტსკის საგუბერნიო კომიტეტმა ამ გუბერნიაში ერობის შემოღების საკითხი აღძრა. ეხლა საერობო დაწესებულებებს კარგი ნაყოფი მოაქვთ შიდა რუსეთის იმ გუბერნიებში, რომლებიც ადგილობრივი, საზოგადოებრივი და სხვა პირობები ირკუტსკის გუბერნიის იმავე პირობებს ეთანხმებაო.

◆ განზრახულია ამიერ-კასპიის ოლქის უფროსს ნება მისცენ, რომ მან ამ ოლქში გადმოსული სპარსელები უკანვე გაზრდევნოს, რადგან ოლქი სპარსელებით გაივსო, იმათ ადგილობრივ მცხოვრებთა ზნეობაზე დიდი და ცუდი გავლენა აქვთ და იქაურ მკვიდრთ შორის ოპიუმის წევა გაავრცელესო. ეხლა უცხოელთა განდევნის უფლება მარტო თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს აქვს.

◆ დობროვის ქვა-ნახშირის მაღნებში დიდი უბედურება მომხდარა. დომენის ფეჩებთან მიწას სთხრიდნენ. ეს მი-

ფელეტონი

აფხაზეთში

სოხუმიდან გაგრამდე

(მგზავრის შენიშვნები)

(გაგრძელება *)

მევენახეობა.—ცოტა რამ აფხაზთა სარწმუნოებიდან.—ბზის ტყეები.

ხეხილის გარდა განთქმულია აფხაზეთის ვენახები და აფხაზური ღვინო. თავისებური და საამო საყურებელია აქაური ვენახები. გზის ორსავ ნაპირას ჩარიგებულია უსისტემოდ ხურმისა და თხემლის ხეები, ზედ გადახვეულის ვაზებით. ამ ორის ჯიშის ხეს აქეთკენ სავაზოდ ყველგან უპირატესობა აქვს, რადგან ფოთლები წვრილი აქვს, მზის სხივები ადვილად ატანს შიგ და ჩქარა ამწიფებს ყურძნის მტევნებს. მთელი სოფლებია, რომ ყურძნის მოსავლითი სცხოვრობენ. აჰანდარა, დურუბში, აბგარა, აცი, ლიხინი, ოთჰარა, ბარმიშ, კალდახვარა, ბლაბურჰფა—ყველა ეს სოფლები ღვინის ბაღდაღებად ითვლება აქეთკენ. საუკეთესო ღვინო დგება ამილახუს ჯიშის ვაზისაგან, რომელიც, როგორც აქ ამბობენ, მთავარს ქართლიდან თ-დ ამილახვრის მამულიდან მოუტანინებია. ღვინო ძვირფასი უდგება ამ ვაზს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ნაცარმა სრულიად გააფუჭა და მთელს აფხაზეთში ამ ჟამად 500 კოკა თუ მოვიდა წელიწადში, დიდი ღვთის წყალობა იქნება. არის კიდევ სხვა ჯიშის ყურძენი ალბიშ, რომელსაც ამილახუზე უკეთესი ღვინო უდგება, მაგრამ თითქმის მოსპობილია: სულ 2-3 კოკა თუ მოვა მთელს მხარეში. უფრო გავრცელებულის ჯიშის ყურძნებია: კაჭიჭი (შავი), აპაპ-ყვაჯ (შავი). ავასარხვა (ოქროს ფერი), ათურქ-აჟ, აჩკიკ, აჟიჰვატა. ეს 20-25 წელიწადია „ადესის“ ყურძენიც შემოვიდა, რუსულ ყურძნის (აურუს-აჟ) სახელით მონათლული. წინად ღორებისათვის თუ ჩამობერტყდნენ, მაგრამ თანდათან პატივს იპოვებს, რადგან ბაზარი გაეხსნა და მოსავალიც კარგი იცის.

ომიანობამდე აქაური ღვინო აქვე იხარჯებოდა. მაგრამ ნაომევს გარეთაც გაეხსნა ბაზარი აფხაზურ ღვინოს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ მხარეში მეგრელებმა იწყეს დენა. აქაური ღვინო გაიცნეს ადლერში, შვაჩეშეში (სოჩა), ნოვოროსიისკში, ფოთს, ბათუმს და სხ. მეგრელი ვაჭრები დადიან სოფლად და მთელს ვენახებს ყიდულობენ, თითოს 15—100 მანეთამდე. დაიქირავებენ ფაცხებს და ყურძნის წურვის დროს ალაგობრივ რჩებიან. გაწურული ღვინო კასრებით მიაქვსთ გუდაუთამდე ურმებით და იქიდან გემით ან ნავებით სხვა-და-სხვა ადგილას. გარდა ამისა, აფხაზებს თვით ყურძენი ჩამოაქვსთ გუდაუთაში და წონით ჰყიდიან: ოყა კაჭიჭი შაურად ფასობს, ადესის—2 კაპეიკად.

თვითონ აფხაზი თავის სახარჯავად ან გასასყიდად ცოტას იყენებს ღვინოს. მაგრამ თუ დაიყენა, მისი გამოზოგვით ხარჯვა ემძიმება: ეძებს ყოველს მარჯვე შემთხვევას, რამე წვეულება გამართოს და ერთბაშად გამოლიოს წლის მოსავალი, რომ მერე მთელი წელიწადი ულვინოდ იჯდეს, წმინდა წყლის ანაბარა...

—

რაც უფრო შორდებით გუდაუთს, ადგილმდებარეობა [illegible] იყევა, მცირდება ვაკე, სწორი ადგილი, სამაგიეროდ მატულობს სერები, მთები, კავკასიონის ქედის თანტოლად მიმავალნი. მთის ფერდოებზე არწივის ბუდესავით აქა-იქ მიკრულა აფხაზთა ფაცხები, მოსჩანს ვაზიანი ხეები, სიმინდის ყანები. მეტად ფერადი და საამო სურათია. თვალი ერთნაირ სანახაობით არ იღლება. ღვინობისთვის გასულს ბუნებას მწვანე სამოსელი ისევ ისევ გაუხუნებელი აცვია,—იმ ზომამდე თბილა, იმ ზომამდე ცხოველია სხივები მზისა.

მგზავრის ყურადღებას იქცევს ეზოებში წამოდგმული თითო, ხან რამდენიმე ერთად პატარა ფარდული ხისა. ეს გახლავსთ აქაურთა სასაფლაოები. მოუნათლავი აფხაზი თავისს მიცვალებულს შორს არსად ისტუმრებს, არამედ სახლს ახლო ეზოში თვალსაჩინო ადგილას მარხავს, რათა შეეძლოს ხშირად დახედოს, ახლოსა ჰყავდეს, ჭირისუფალთა შორის.

ხოლო იგივე მოუნათლავი აფხაზი ეზოში დასაფლავებულის სულის მოსახსენებლად სხვაგან აშენებს ამავე ფორმის ფარდულებს, მხოლოდ დიდებს. ასეთს ფარდულს **აბაყა** ჰქვიან. ყავრითაა გადახურული, გვერდებ ამოუშენებლი. ოთხივ კუთხივ დგამები აქვს ჩამორიგებული ჩამოსაჯდომად ან დასაწოლად. ასეთს აბაყას აშენებს მამა გარდაცვალებულის შვილის სულის სახსრად და საოხად ან შვილი მამისათვის. თუ გნებავსთ ასეთს შენობას სასტუმრო შეიძლება ვუწოდოთ, მხოლოდ სასტუმრო უმასპინძლო, უსასყიდლო და მარადჟამ კარ-ღია სტუმრებისათვის. ავდარ-მოსწრებულს მგზავრს შეუძლია შიგ თავი შეაფაროს გამოდარებამდე, ან ღამე გაათიოს, ცეცხლი დაანთოს და ნაბადში გახვეული იქვე მიწვეს და მიიძინოს. როცა თავს ანებებს ასეთს სასტუმროს, მოვალეობადა სთვლის შენდობა შეუთვალოს სულს მიცვალებულისას, ვის სახელსაც ეს აბაყა ატარებს. ასეთი აბაყა განსაკუთრებით იქა კეთდება, საცა გზა იყრება, სოფელს მოშორებით. ზოგს ჭირისუფალს ისე სწამს მადლიანობა აბაყასი, რომ სასმელ-საჭმელიც-კი მოაქვს და შიგა სტოვებს, რომ დამშეულმა მგზავრმა შიმშილი დაიყუჩოს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი ხანიკი არ უნდა იყვეს, რაც აფხაზთ თავიანთის მიცვალებულის დასაფლავება იწყეს. მისსიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც ას სამასის წლის წინად ასე ზედ-მიწევნით აღწერა სამეგრელო, გაკვრით შეეხო სამეგრელოს მოსაზღვრე აფხაზეთსაც და აღნიშნა, რომ აფხაზები მიცვალებულთ ხეზე ჰკიდებდნენო. ალბად, მანამდე სტოვებდნენ ამ მდგომარეობაში ცხედარს, სანამ ყვავ-ყორანნი ხორცს არ დაჰკორტნიდნენ. მერე ცარიელს ძვლებს-ღა მარხავდნენ, როგორც ამას დღესაცა ჰშვრებიან პოლინეზის მცხოვრებნი.

მეტად მრავალ-ფეროვანი და რთულია აფხაზთა ჩვეულებანი ტირილისა, მიცვალებულის გლოვა-დასაფლავებისა; მეტად ვრცელნი არიან ჩვეულებანი წინაპართა სულის თაყვანისცემისა. მაგრამ, სამწუხაროდ, მეტს ვერ გავჩერდებით ამ საგანზე, რადგან საგანი მეტად შორს წაგვიყვანდა და მგზავრის შენიშვნების ჩარჩოში, ცოტა არ იყოს, ძნელი დასატევი იქმნებოდა. აქ მხოლოდ მოკლედვე შევეხებით ამ მხარეში ჯერ კიდევ მკვიდრად შენახულს ფიტოლატრიატს ანუ მცენარეთა თაყვანისცემას.

მცენარეთა თაყვანისცემა მთელი დარგია პირველ-ყოფილის სარწმუნოებისა. ხე და საზოგადოდ მცენარე ადამიანს ესდენ სამსახურს უწევდა, უწევს და გაუწევს. ამი

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ 1904 წლისა № 2367.

ნა 30 წლის წინად ყოფილა იქ დაყრილი. მიწა ჩამონგრეულა და მუშები ქვეშ მოუყოლებია. იმავ დროს ფეჩებიდან ცეცხლის ძლიერი ალი ამოვარდნილა და იქ მდგომნი დაუწვავს. ჯერ-ჯერობით 10 საშინლად დასახიჩრებული მკვდარი იპოვნეს. დაღუპულთა რიცხვი 50 კაცზე მეტიაო. სამუშაოს გამგე, ინჟენერი ფუდერი, მეტის მწუხარებისაგან ჭკუიდან შეშლილა.

პატარა ფელეტონი

„ღალატი“-ს ქართულად დადგმის გამო

ქართულ თეატრის ერთი მსხვერპლთაგანი ვარ. თორმეტ წელიწადზე მეტია, რაც ქართულ წარმოდგენებს ვესწრები!

მართალია, აქა-იქ კარგად დადგმული და წარმოდგენილი პიესებიც მინახავს, მაგრამ მეტ წილად გულ-მოწამლული ვბრუნდებოდი სახლში. მაინც დავდიოდი! ქართველი ხომ ცალიერ იმედებით სცხოვრობს და მეც სულ იმას ვფიქრობდი და იმის მოლოდინში ვიყავი, რომ დღეს ან ხვალ ჩვენი სცენაც სცენას დაემსგავსებოდა.

„ღალატი“-ის ქართულად დადგმამ ლამის არის იმედი სულ წარმიკვეთოს. რას ველოდით და რა ვნახეთ!

სუმბათაშვილის შესანიშნავი პიესა, რომელმაც მთელი რუსეთი აალაპარაკა, ისე დაამახინჯეს, რომ ყველა მაყურებლები სახტად დარჩნენ: ჩვენი არტისტებისაგანაც კი არ მოველოდნენ ასეთ სიურპრიზს. შევრცხვით და ძალიანაც შევრცხვით!

და ეს ასე იქნება, სანამ... სანამ რადიკალური ღონისძიება არ იქნება მიღებული.

რომელი ღონისძიებაო, იკითხავთ? ამ თორმეტ წლის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ჩვენი ძველი არტისტების გასწორება შეუძლებელია. რაც უხეირობა სჭირდათ, თუ მიუმატეს, თორემ არა დაუკლიათ რა. ქართველი მაყურებელი სულ ცოტათი კმაყოფილდება, აქტიორს ერთ-ორ კარგად წარმოთქმულ სიტყვისთვის აღტაცებულ ტაშს უკრავს და აქტიორებიც თავს გავიდნენ; თავი გენიოსებად წარმოიდგინეს და შრომა-მეცადინეობაზე სრულებით ხელი აიღეს. აუცილებელი შედეგი ასეთ „აქტიორობისა“ ის არის, რომ საბრალო ქართული სცენა სულ მუდამ ერთ დონეზე დგას, წარმატება არ ეტყობა და არც დაეტყობა, სანამ ჩვენი „გენიოსი“ არტისტები იქნებიან ქართული სცენის სულის ჩამდგმელნი.

ქართულ თეატრის გულშემატკივარნი მთელ თავის ძალ-ღონეს იმას უნდა ახმარებდნენ, რომ ეს „გენიოსები“ რაც შეიძლება ადრე ჩამოშორდნენ სცენას და მათი ადგილი ახალგაზდებმა დაიკავონ. ნიჭისა და ხელოვნების ინვალიდები ქართულ სცენას დაღუპავენ!

მაგრამ ახალგაზდებიც უსკოლოდ ვერას გახდებიან. სკოლა და სკოლაა საჭირო. სულ მუდამ ხომ იოლას ვერ წავალთ! არც ისე დიდი თანხაა საჭირო ამ საქმისთვის. სკოლასთან სტიპენდიებიც უნდა დაარსდეს, რომ უფრო ნიჭიერები საზღვარ-გარედ გაიგზავნოს სათეატრო ხელოვნების შესასწავლად.

ვიმეორებთ—კუზიანს მარტო სამარე გაასწორებს და ჩვენი „გენიოსი“ არტისტებიც ასეთი კუზიანები არიან. თუ გვინდა, რომ სცენა გვქონდეს, თუ საჭიროდ მიგვაჩნია ქართული თეატრი, თუ შეუძლებელია, რომ ეხლანდელ მდგომარეობაში დარჩეს ქართული სათეატრო საქმე, ნაჩვენებ ღონისძიების მეტი არა დაგვრჩენია რა.

კიდევ ვიტყვით—ნიჭისა და ხელოვნების ინვალიდები ქართულ სცენას დაღუპავენ. W.

* * *

ჩემი დღიური

თეატრი გაჭედილი იყო. ზოგი ორის-სამის დღის სავალიდან მოსულიყო ამ სალამოსთვის. გულის ფანცქალით მოველოდით ფარდის აწევას. ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა.

წარმოდგენა დაიწყო. პირველ წუთს დამსწრეთ სახეზე სიხარულის ღიმმა გაურბინა: მშვენივრად, სპარსულ გემოზე მოწყობილი დარბაზი, მჩქეფარე შადრევანი, მოლაპლაპე მტკვარი, ტფილისი თავის პატარა სახლებით, საუცხოვო ტანისამოსში გამოწყობილი სულეიმანი და იმისი მახლობელნი,—ყველა ამ გარეგანმა სიმშვენიერემ თვალი მოგვიხიბლა, გული გაგვინათა. მაგრამ, ვიმეორებთ, მხოლოდ პირველ ხანს. ადიწყეს ირტისტებმა ლაპარაკი და თითქოს ვიღაცამ მთელ დარბაზს ზევიდან ცივი წყალი გადაასხაო. სცენიდან მთელ მოქმედების განმავლობაში რაღაც ჩურჩული ისმოდა, ამასთან არტისტები ჩურჩულებდნენ და დადიოდნენ სცენაზე უგულოდ და ზანტად. მეორე მოქმედებაში არტისტებმა ხმას მოუმატეს, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა...

ამ რიგად მთელმა პიესამ „ღალატმა“ ბოლომდე ზანტად, ულაზათოდ, უშნოდ დ უგემურად ჩაიარა. ვერა ვნახეთ ვერც ცეცხლ-მფრქვევი, ერთის აზრისთვის თავგამოდებული ზეინაბი, ვერც სულით გახრწნილი პირველ ხანს და გმირად ქცეული შემდეგში ოთარ-ბეგი, ვერც მასხარა, მაგრამ ჭკვიანი, დაკვირვებული და თავის ქვეყნის მოყვარული ბესო და ვერც სხვა სიცოცხლით აღსავსე გმირი ამ პიესისა. არტისტები დადიოდნენ და ლაპარაკობდნენ სცენაზე, მაგრამ იმათი გული, სული და გონება ამ საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

ყველაზე მეტად წარმოდგენის დაქვეითებას ხელი შეუწყო ქ-ნმა ეფემია მესხმა. პიესაში თავი და თავი ზეინაბია, რომლის როლსაც ქ-ნი მესხი ასრულებდა. თუ ზეინაბის მოთამაშე სუსტია, პიესას არაფერი ეშველება. ქ-ნმა ეფემია მესხმა მთელის ხუთის მოქმედების განმავლობაში ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მაყურებელზე. როგორც უგულოდ, უსულოდ და ერთფეროვნად დაიწყო პირველ მოქმედებაში, ისევე უგულოდ და უფერულად დაამთავრა მეხუთეში. არსად, არც მონოლოგებსა და არც სხვაგან სადმე, გრძნობის ნატამალი არა სჩანდა. გაზეპირებული, კარგად დასწავლილი სიტყვები, სიტყვები და სიტყვები. ამასთან უშნო და ულაზათო დეკლამაცია „კონ. მესხის სკოლისა“. ამ დეკლამაციის მეოხებით-კი ქართული სიტყვები სიტყვებს არა ჰგავს და კილო კილოს. მთელის პიესის საუცხოვო ადგილმა, მესამე მოქმედების ბოლომ, ყველას გული ჩაუთუთქა, ისე უგრძნობლად, უენტუზიაზმოთ და ერთფეროვანად წარმოსთქვა ქ-ნმა მესხმა თავისი მონოლოგები. ამ ადგილას ყველა უნდა აცრემლებულიყო...

გაგვაოცა და გაგვაკვირვა ბ-ნმა კონსტ. მესხმაც. ეს არტისტი ასრულებდა პატარა, მაგრამ ლაზათიან, მადლიან, ენა-წყლიან ბესოს როლს. ბ-ნმა მესხმა სულ ერთიან გააფუჭა ეს როლი. გასაოცარია სწორედ! კაცი ოცი-ოცდა ხუთი წელიწადი სცენაზე თამაშობს, პირველ ხარისხოვან არტისტად სთვლის თავის თავს, მაგრამ ამისთანა მადლიან როლის ასრულებას-კი ვერ ახერხებს.

სუსტები იყვნენ ყიფიანიც, გუნიაც, შათირიშვილიც და სხვებიც. საერთოდ მესამე და მეოთხე ხარისხოვანი არტისტები უკეთ თამაშობდნენ. აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ისეთ დიდ თეატრში, როგორც სახაზინოა, ყოვლად შეუძლებელია ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის თამაშობა: იმისი სუსტი ხმა პირველ რიგშიაც არ ისმოდა.

წარმოდგენა სამაგალითო თეატრში (სახაზინოში) გაიმართა, დეკორაციები და ტანისამოსი, საზოგადოდ, მოწყობილება, საუცხოვო იყო, მაშ რა მიზეზია, რომ ქართველმა არტისტებმა ესე უხეიროდ წარმოადგინეს ის პიესა, რომელიც სხვებზე ბევრად უკეთ უნდა წარმოედგინათ? მიზეზი ერთადერთია: ქართველური დაუდევრობა, უმეცადინეობა, დაუკვირვებლობა. ასე გასინჯეთ, როლიც კი არავინ იცოდა ხეირიანად: ყველა ბორძიკობდა, ერთის სიტყვის მაგიერ მეორეს ამბობდა, ბ-ნი გუნია კიდევ ყოველ სიტყვის შემდეგ „დიახ, დიახ“-ს იძახდა. არტისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველი საზოგადოება ამ დღისთვის [illegible] ემზადებოდა და ნუ თუ იმდენი პროფესიანალური თავმოყვარეობა ვერ გამოიჩინეს, რომ თუ კარგად არა, რიგიანად მაინც წარმოედგინათ ეს პიესა. ვიცი, არტისტები უსათუოდ იმას იტყვიან, რომ საკმაო რეპეტიციები არა გვქონდა, რეჟისორი არა გვყავნდა, გამგეობა ასე და ისე მოიქცა და ბევრ კიდევ სხვა რამეს. მაგრამ ტყუილი თავის მართლება იქნება: არტისტები, უფრო და მეტად ძველები, არა მეცადინეობენ, არა შრომობენ და არა სცდილობენ პიესების კარგად წარმოდგენას... Vzx

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ძლივს! ძლივს გვეღირსა და ვნახეთ ქართულს სცენაზე ა. ი. სუმბათაშვილის ახალი პიესა, ისტორიული ლეგენდა, როგორც ავტორი უწოდებს, „ღალატი“.

აგერ ორი თვეა, იგი რუსულ დასმა არტისტიულს საზოგადოების თეატრში წარმოადგინა და ჩვენ-კი მხოლოდ დღეს მოვესწარით ამას, თუმცა დიდი ხანია რაც ორი თარგმანი არსებობს ამ პიესისა. ზოგი-კი სწორედ იმას აბრალებდა პიესის წარმოდგენის დაგვიანებას, რომ ორი თარგმანი არსებობსო, კ. მესხისა და გ. ყიფშიძისა. მერე კიდევ ივ. მაჭავარიანი სთარგმნისო და თვით თავადი ილიაც აპირობს ამის თარგმნასაო... ღმერთო ჩემო, რამდენი მთარგმნელი გამოჩნდა! ეს, რასაკვირველია, „ღალატი“-ს ღირსების მიზეზით მოხდა, მაგრამ ჩვენს სიღარიბესთან მთარგმნელთა ასეთი სიუხვე გასაკვირველი საქმეა, თითქოს ასე ცოტა ნაწარმოებია ქვეყანაზე, რომლის გადმოთარგმნა ჩვენთვის სასურველი და სასარგებლოა. ასე თუ ისე, ორი თარგმანი მზად იყო და, არ ვიცი, რომელისამე ინტრიგისა (ასე ჰფიქრობდნენ ზოგნი), თუ სხვა მიზეზით, ადმინისტრაციას გადაწყვეტილი არა ჰქონდა, რომელი თარგმანი მიეღო, რომელი დაედგა სცენაზე. ბოლოს, როგორც იქმნა, ღვთის მადლით ეს საგანი გადასწყდა, წარმოდგენის დღეც დაინიშნა და აი, სამწუხაროდ, სწორედ აქ აჩქარდნენ, პიესის მოსამზადებლად ცოტა დრო დანიშნეს, პიესა რიგიანად ვერ მოამზადეს, წარმოდგენამ მაყურებელზე შესამჩნევი შთაბეჭდილება არ მოახდინა, ის აღტაცება და ენტუზიაზმი ვერ გამოიწვია, როგორიც მოსალოდნელი იყო. ამისი უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ არტისტებმა თითქმის საერთოდ როლები მტკიცედ არ იცოდნენ და სწორედ იქ წაიბორძიკებდნენ, იქ შესდგებოდნენ ხოლმე, სადაც მაყურებლის ყურადღება შეპყრობილი იყო პიესის უკეთესის სიტყვებით და წარმოებით. გარდა ამისა პიესის დაწყებისთანავე არტისტებმა, მ. ვ. მესხიშვილის წყალობით, ძალიან

სრულებით ბუნებრივია ამ ადამიანის მხრივ მცენარე მფარველად, თაყვანისცემის საგნად, ღმერთად გაეხადა. მაგრამ მეორე მხრივ, ეს ღმერთი მუდამ-კი არ იყო მოღიმარე, კეთილი, მუდამ არ უჩრდილებდა, მუდამ არ აძლევდა ნაყოფს; ხანდახან მრისხანებასაც აჩვენებდა თავისს თაყვანისმცემელს. პირველს შემთხვევაში პირველ-ყოფილი ადამიანი ცდილობდა მადლობა გადაეხადა, მეორე შემთხვევაში-კი—გული მოელბო, მისი რისხვა თავიდან აეშორებინა. როგორც მადლობისათვის, ისე გულის მოსალბობად საჭიროა მსხვერპლი: რაც რამ საუკეთესო გააჩნია, რაც რამ საუკეთესო საჭმელი მოეძევა, რაც უფრო მეტს მოიკლებს, რაც უფრო მეტს შეეწევა, ღმერთი მოვალეა მეტი სიუხვე გამოიჩინოს, მეტი მოწყალება მოიღოს. ზოგი ხე განსაკუთრებით იპყრობდა ადამიანის ყურადღებას: თავისის სიდიდით, თვისის თვისებით ან იმით, რომ განმარტოებით იდგა, სადმე ტრიალ მინდორზე. ასე გაღმერთებულ ხეებს ხშირად შეხვდება კაცი აქეთკენ. აფხაზი მოწიწებით გაივლის ხოლმე ასეთს ხესთან, თან ვალდებულია რამე აჩუქოს, შესწიროს და ასე თუ ისე მორჩილება გამოუცხადოს, მისი სიძლიერე აღიაროს; ვინ იცის, რა და რა ხასიათის, [illegible] და რა ფორმის ძღვენსა და შესაწირავს არა ნახავთ ამ ხეთა ძირში! აფხაზის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს—ამ შემთხვევაში: ნახავთ თოხის ნატეხს, თოფის ლულას, სარდინის თევზის კოლოფს, საიაზმეს(?), სპილენძის ქვაბს, შავ ფულს, ცულის ნატეხს, თუნუქის ბჭყვიალა ნაჭერს. გულუბრყვილო შემომწირველი დარწმუნებულია ყოველივე ასეთი ძღვენი მადლობით არის წმინდა ხის მიერ მიღებულიო. და როგორც [illegible] და ხის საკუთრება, გარიშეთაგან ხელუხლებელია, ადამიანს რაც უნდა უჭირდეს, რაც უნდა დიდი ჰქონდეს დასაკუთრების სურვილი, მაინც ხელს არ ახლებს. რო გაუვლის შეწირულ ნივთთა ამ საწყობს, გაჩერდება, დაიჩოქებს და სთხოვს: „ულუფხა ჰათ“ (შენი წყალობა მომეც). ასეთი ხე გარდა იმისა, რომ მმოსავსა თვისსა მფარველობს და იცავს, მოსამართლის როლსაც ასრულებს. მომჩივანნი და დამნაშავენნი მის კარ-წინ მიდიან, დამნაშავენი ფიცსა სდებენ—ესა და ესა დანაშაული არ ჩაგვიდენიაო. არც გამოძიება, არც მოწამე, არც აპელაცია და არც კასაცია.—ხე გაასამართლებს ყველას, მტყუანს ავად გახდის და თვის კარის წინ შესაწირავით მოიყვანს და მომჩივანისათვის ბოდიშს მოახდევინებს, დანაკარგს აზღვევინებს.

ასეთ ხესთან უბრალო მომაკვდავს პირდაპირ როდი შეუძლია ლაპარაკი. ამისთვის განსაკუთრებულნი თანამდებობის პირნი არიან არჩეულნი: ესენიი რომ მომჩივანთა თხოვნას ხეს მოახსენებენ. და სხვა და სხვა.

მეორე საინტერესო სალოცავი აფხაზთა—შაშუ ანუ მჭედლობის ღმერთია. შაშუს სახელობაზე ტყეებში აკეთებენ პატარა ქურებს ქვებისაგან,—კირის მაგივრად უბრალო აყალო მიწას ხმარობენ. ზედ აწყვია ჩაქუჩი და გაზი—სიმბოლო მჭედლობისა. ახალწლის წინადღით მლოცავნი ამ ქურასთან მიდიან, საკლავსა ჰკლავენ, საუკეთესო ნაწილს ცხოველისას—გულ-ღვიძლს, ხის შამფურზე წამოგებულს, შაშუს სწირავენ და დანარჩენს თვითონ შეექცევიან. მსგავსად წმ. ხეთა, სამჭედლურიც მოსამართლის როლს ასრულებს: მომჩივანნი მის წინ ფიცულობენ და თავიანთს სიმართლეს საჯაროდ აცხადებენ. აფხაზი, რაც უნდა ძალა ადგეს, ტყუილის თქმას სამჭედლოს წინაშე ვერ გაჰბედავს. ერთი ასეთი სამჭედლო სოფ. კალდახვარაში მაჩვენეს მართლ-მადიდებელთა ეკკლესიის გვერდით...

—

გუდაუთიდან მდინარე ბზიფამდე, ანუ კაპოეტის წყლამდე, სურათი ათასფერად იცვლება, ერთი სურათი მეორეზე უკეთესი, მეორეზე უფრო მომხიბვლელია. მაგრამ სურათი ბუნებისა, მდ. ბზიფის ხიდიდან რო ეშლება მგზავრს, ყველასა ჩრდილავს. აქედან ხედავთ მთელის ბზიფუს ხეობას, თვით იმ თოვლიან მთებს, ამ მდინარეს რომ ასაზრდოვებენ. ეს ის ხეობა გახლავსთ, რომელიც უხსოვრის დროიდან განთქმული იყო და დღესაც არის უძვირფასეს ხის ჯიშით—ბზით. დასავლეთ ევროპის ბაზარზე სულ უკანასკნელმა ხე-ტყის მწარმოებელმა თუ ვაჭარმა იცის აფხაზეთის ბზის buie d'vbazie სახელი. აქაური ბზა ყვითელია, როგორც კვერცხის გული, მეტად მჭიდროა და გაშალაშინების შემდეგ სპილოს ძვალის მსგავსია. ამ ჯიშის ხეს აღმოსავლეთ საქართველოში კანტი-კუნტად ვხედავთ, ისიც ეკკლესიების გარშამო. აფხაზეთსა და სამურზაყანოში-კი მთელი ტყეებია ოცისა და ორმოც ათას დღიურის სივრცისა.

ბზით ვაჭრობა აფხაზეთში დიდის ხნიდანვეა დაწყებული. ჯერ ისევ გენუელები (1120—1475 წ.) მოდიოდნენ აქ ბზის გასაზიდად. იმ ადგილას (ბიჭვინტასი და ბამბორას შუა), საიდანაც ეს საქონელი გემებით გაჰქონდათ, cauo de bussi (ბზის ნავთსადგური) დაარქვეს. იმ დროს ბზის ტყე თვით ზღვის ნაპირამდე სწვდებოდა თურმე. მაგრამ აფხაზებს კარგის ღირსების ბზა უფრო შორიდან მოჰქონდათ. იაფადაც ჰყიდდნენ. ერთ ფუთ მარილში ერთი ფუთი ბზა მიჰქონდათ თურმე გენუელებს! ბზა უმეტესად სტამბოლს მიჰქონდათ და დიდის მოგებითა ჰყიდდნენ, რადგან მარილი, რომელშიაც ბზასა სცვლიდნენ, თითქმის არაფერი ეღირდათ. ღირსების გარდა აქაური ბზა შესანიშნავია თავის სიდიდითა და ხნოვანობით. აქაურს ტყეებში კაცი დღესაც შეხვდება 600—700 წლის ბზის ხეს, რომელსაც კაცის გულის სიმაღლეზე 16 გოჯი სისქე აქვს!

ამ უკანასკნელ დროს ბზის ტყეები ძალზე გაიჩეხა აქეთკენ და რა თქმა უნდა, ამიტომ თვით საქონელიც გაძვირდა. ამ ათისა და თუთხმეტის წლის წინად ფუთი ბზა პირველის ხარისხისა ოთხ აბაზად და მანეთად რომ იყიდებოდა, ახლა იგივე ფუთი ორ მანეთად და მეტადაც ფასობს ალაგობრივ. მაინც ყოველწლობით აფხაზეთ-სამურზაყანოდან თუ მეტი არა, 40,000—50,000 ფუთი ბზა გააქვს საზღვარ-გარეთის გემებს. ალაგობრივ ვაჭრობა ამ ხით ჩვენებურების ხელშია და სანუგეშოდ არა ერთმა და ორმა მოითქვა სული ამ საქმეში.

მდ. ბზიფიდან მე-4 ვერსზე სოფელი კალდახვარია. გზის პირას ერთის მხრით ეკკლესია დგას ხისა, მეორეს მხრით რამდენიმე დუქანი მეგრელთა და აფხაზთა მოსახლეები. იმის ცოტა მოშორებით სოფლის ბოლოს მამულია დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა, თ. გიორგი ერისთავისაგან ნაყიდი და შემდეგ მე-9 ვერსიდან იწყება მამული პრინცის ოლდენბურგელისა. მერე გადავდივართ თვით გაგრაში, რომელიც ეს ორი-სამი წელიწადია, რაც გაშენდა სოხუმის მოქიშპედ და რომლის შესახებ ამდენს ლაპარაკობენ ყველგან.

თ. ხ.

(დასასრული იქნება)

ლაბადის ხმით დაიწყეს ლაპარაკი. მესხიშვილმა დაიწყო და არტისტებიც მას მიჰყვნენ,—და თუმცა ვ. გუნია პირველს ცდილობდა, მაინც ვერას ახდა. არტისტების ლაპარაკი არ ისმოდა, ყოველ კუთხიდან ჰყვიროდნენ: მაღლა, ხმა მაღლა! ამ გვარად, წარმოდგენა დაწყებისთანავე წახდა და ბოლომდის ასე წავიდა.

„დალატი“ დაბეჭდილი იყო „მოამბე“-ში და „ივერია“-შიაც; ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის მისი შინაარსი, ამიტომ მისი გადმოცემა საჭირო აღარ არის.

რაც შეეხება არტისტთა თამაშს, ჩვენ ამაზედაც არ შევჩერდებით დიდ-ხანს, რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, როლები საზოგადოდ ცუდად შეესწავლათ, არც ერთმა მსახიობმა ვერ შეჰქმნა-რა, თუმცა პიესის ავტორმა ყველას საკმაო მასალა მისცა.

უმთავრეს, პიესის ცენტრალს როლს, ზეინაბისას, ასრულებდ. ეფ. მესხი. ეს პატივცემული მსახიობი ზეინაბის როლში სუსტი იყო, ტემპერამენტი და სიცხოველე აკლდა, მაყურებელი ვერ გაიტაცა, პირ იქით როლი გააჭიანურა. პიესის საუკეთესო ადგილებმა შეუმჩნევლად გაიარეს. დიდებულმა მესამე მოქმედებამ ქ. მესხის წყალობით სრულიად არ მოახდინა ის დიდი შთაბეჭდილება, რომელსაც რუსულ სცენაზედ მოახდენს ხოლმე. ერთი ფელეტონისტი სწერდა, რომ „დალატის„ მეოთხე მოქმედება სუსტიაო და ამის ბრალი კი იმაშიაო, რომ მეოთხე მოქმედება მესამეს შემდეგ არისო. გუშინდელ წარმოდგენაზედ კი მეოთხე მოქმედება მესამეს სრულიად ვერ დაემდურება, რადგან მეოთხე მოქმედებამ მესამეზედ ნაკლები შთაბეჭდილება არ მოახდინა. ბ. გუნიას როლი უკეთ რომ სცოდნოდა, სწორედ რომ კარგი ოთარ-ბეგი იქნებოდა. სულეიმან ხანი—მესხიშვილი—იქნება კარგადაც თამაშობდა, მაგრამ იმისი ლაპარაკი თითქმის რომ სრულიად არ ისმოდა. ანანია გლახას არდგენდა კოტე ყიფიანი და ეს არტისტი საზოგადოებას სხვებზედ უფრო მოეწონა, თუმცა მე-კი მგონია, რომ ამ მსახიობს შეეძლო როლი სვიმონ ლეონიძის კილოთი არ დაეწყო. ირაკლი—შათირიშვილი—უფრო რაღაც უმწიფარს, „დედის ერთას“ მოგვაგონებდა, ვიდრე ბატონიშვილს და მხედარს, მეომარს.

გარეგნობით პიესა კარგად იყო მოწყობილი, არტისტებს ტანისამოსი ახალი და საუცხოვო ეცვათ, თვით სცენაც კარგად მოეწყოთ, დეკორაცია—მეტეხი ლაზათიანია. მაგრამ თვით წარმოდგენის დროს რამდენიმე უწესოება მოხდა: პირველ მოქმედებაში უდროვოთ ჩამოუშვეს ფარდა, შემდეგ ისევ ასწიეს და ისე განაგრძეს; თარზედ პირველსავე მოქმედებაში, ისე ხმა-მაღლა უკრავდნენ, რომ კარგარეთელის სიტყვები სულ არ ისმოდა; მეხუთე მოქმედებაში მთელი სცენა გამოუშვეს—რუქაია და ირაკლი სცენაზედ აღარ შემოვიდნენ და ამიტომ მაყურებლისათვის სრულიად გაუგებარი იქნებოდა, დაჭრილი ირაკლი საიდამ შემოიყვანეს, ზეინაბს რომ არ ეთქვა ბოლოს, მე უბძანე ჩემს შვილს და ის მოკვდა თავის მოძმებთან ერთად ბრძოლის დროს.

ყველა ეს ნაკლი, იმედია, შემდეგში გასწორდება, არტისტებიც როლებს შეისწავლიან, საზოგადოთ პიესა უკეთ მომზადდება და „დალატი“ ჩვენი თეატრის რეპერტუარში უკეთესს ადგილს დაიჭერს.

წარმოდგენა სახაზინო თეატრში გაიმართა. თეატრი, რასაკვირველია, გაჭედილი იყო. ვ.

სასამართლო

I

ტფილისის ოლქის სასამართლომ 20 იანვარს განიხილა მოხსენება იმის შესახებ, რომ მოისპოს საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის ვედენეევის მოკვლის შესახებ, რადგან აქამდე კვლევა-ძიებამ ვერ აღმოაჩინა მკვლელი. ოლქის სასამართლომ დაადგინა მოისპოს ამ საქმის წარმოებაო.

II

პირველს თებერვალს, ტფილისის მესამე გა ყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ მელნიკოვისა, რომელსაც ქ-ნი ჩხარტიშვილის შეურაცხების მიყენებას უჩივის.

წერილი სოხუმიდან

აქაური ავ-კარგი

ახალმა წელმა მშვენიერი ამინდები გვიძღვნა. არამც თუ თოვლი, ჩვეულებრივი წვიმებიც არ გვიხუთავს სულს. ბაღებში ვარდი ჰყვავის. ერთის სიტყვით, ზამთარი მშვენიერია და მზის სხივებით მაინც, რომელსაც ბანდეროლი არ აკრავს, ერთნაირად სარგებლობენ „წმწმენდილი“ მდიდრებიცა და „ცხონებული“ ღარიბებიც. ნეტავ ყოველთვის ასეთი ზამთარი იქმნებოდეს, ვინ იტყოდა მისს ძვირს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ, რაც უნდა კარგი ზამთარი იყოს, ქუჩები მაინც ქუჩებს უნდა ჰგავდეს: კარგი ამინდია და და მორწყვა უნდა, თუ ცუდია—მოკირწვლა. სოხუმში არც ერთისა და არც მეორესთვის, გარდა ორი-სამის ქუჩისა, კაცი არ ზრუნავს. კარგ ამინდში კოჭამდი მტვერი, ცუდ ამინდში მუხლამდის, ტალახად იცვლება და ორსავე შემთხვევაში „რუსეთის ნიცა“ ნამდვილ სოხუმსა ჰგავს. სოხუმი სოხუმსა ჰგავს-მეთქი რომ ვამბობ, ეს აბსურდი არ არის, რადგან იმას ნიცას ადარებენ (გინდ ჰაერით) და ამ მხრით კი დაბა ოჩამჩირეს არ გასცილებია.

ნაახალწლევს სოხუმში რამდენიმე ბოროტმოქმედება მოხდა. სხვათა შორის 4 იანვარს სოხუმის ახლო სამი ბოროტ-მომქმედი ერთს ოჯახს დაეცა. მაგრამ პოლიციას წინ-და-წინ შეეტყო ეს განზრახვა და სამივე ბოროტ-მომქმედი ჩასაფრებულმა ჩაფრებმა იქვე მოჰკლეს და სხვ.

ათასჯერ თქმულა, იარაღის აურით ავაზაკობა არ მოისპობა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, პოლიცია ავაზაკობას თავისს დღეში ვერ მოსპობს.

16 იანვარს დაიწვა კლუბის შენობა (იქვე თეატრიც იყო). ამ მშვენიერ შენობის (ს. იოსელიანის) გადაარჩინეს წინა ნაწილი ე. ი. კლუბი, მხოლოდ თეატრი და სხვა ოთახები ცეცხლმა იმსხვერპლა. დაზღვეული ყოფილა, მაგრამ ნახევარ ფასში. სოხუმში არ არის ცეცხლის მქრობელი რაზმი. ყოფილან „მოყვარულები“, მაგრამ სანამ ისინი შეიკრიბებიან და მოაწყობენ თავიანთ „ქუჩის სარწყავს“, მანამდის ბაყაყს კბილები ამოუვა.

კ. ხორშელი

დაბა-სოფლები

სოფ. აწყური (კახეთი). სასიამოვნო ამბავს ვეღარ ვაუწყებ მკითხველს. სულ ქურდობა, ბოროტმოქმედება და სხვა ამგვარი რამე. თითქოს კახეთში კი არა, სხვაგან სადმე, ძარცვა-გლეჯით განთქმულ მხარეში, ვიმყოფებოდეთ. ვერც ახალმა წელმა გვიშველა: გვეგონა, იქნება ძველმა წელიწადმა წაიყოლიოს ყოველივე ავი, მაგრამ ახალ-წლის პირველ დღესვე დაიკვლიეს, ან სწორედ რომ ვსთქვათ, მიუკვლიეს, დღისით-კი, არა, ღამით მსახიობის დ. გამყრელიძის (აწყურელის) სახლს, ს. აწყურში. ბ-ნ გამყრელიძის ოჯახობა სხვაგან ყოფილა. როცა დაბრუნებულან, ღამე, მოსამსახურე წინ გაუგზავნიათ სახლის გასაღებად, თითონაც მისულან. ამ დროს ძალად მეკვლევე სახლში ყოფილა და უდავლია. რა დაუნახავს, მოვიდნენო, ფანჯრიდან გადმომხტარა და გაქცეულა. ამათ ერთი შეუნიშნავთ: სახლის მოწყობილება და ნივთები სულ აერივ-დაერიათ, წაღებით-კი ბევრი ვერაფერი მოესწროთ; სახლში შესვლისათანავე გამყრელიძის სიდედრს ქ-ნ. მაყაშვილისას, რა დაენახა ნივთების ყუთი გაღებული, ისე უმოქმედნია ამ ამბავს და შეუშინებია, რომ იქვე გული წასვლია. ვეღარც გამოაბრუნეს, თუმცა თელავიდან ექიმიც მიაშველეს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 იანვარი

პეტერბურგი. პაპკოვი ტავასტგუსის გუბერნატორად დაინიშნა. 19 იანვარს საზამთრო სასახლეში მათ უდიდებულესობას პირველი დიდი ბალი ჰქონდათ.

სტამბოლი. როცა სამოქალაქო აგენტები რეფორმებისთვის საჭირო ზომებს კარგად გაიცნობენ და რეფორმების შემოღებისთვის მოსამზადებელ საქმეებს გაათავებენ, რუსეთისა და ავსტრიის ელჩები ეცდებიან, რეფორმების უმთავრესი ინსპექტორი ხილმი-ფაშა იღდიზკიოსკისა და პორტასაგან ნაკლებად იქმნეს დამოკიდებული.

ტოკიო. მოხდა მინისტრთა კრება, რომელმაც 8 საათი გასტანა. იუწყებიან, რუსეთის 7 პოლკი მდინარე იალუსკენ მიდის, რათა ამ მდინარის სამხრეთ ნაპირზე მდებარე რამდენიმე ადგილი და ანდუნი დაიჭიროსო. რამდენიმე რაზმი იქ უკვე მივიდა.

ათინა. დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა თეოტოკისმა ახალ კაბინეტის პროგრამა წაიკითხა. პროგრამის მთავარი აზრი ჯარის რეორგანიზაციაა, რომლის ასრულებისათვის ახალი გადასახადები დაწესდება.

რომი. დეპუტატთა პალატა. ტურინის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ცეცხლის გაჩენის შედეგის გამო სამინისტროს შეეკითხნენ. ამაზე სახალხო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ 4500 ხელნაწერიდან 1000 ხელნაწერი გადაარჩინესო. ძვირფასი ხელნაწერებია გადარჩენილი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერაც არ იციან.

პეკინი. იუანშიკაიმ შტაბის უფროსის თანამდებობას თავი დაანება, რადგან იმის გეგმის ასრულებას ჯარის რეფორმების შესახებ მოხელენი წინაღუდგნენ. იგი ჯილის გენერალ-გუბერნატორად მაინც დარჩა.

ვლადივოსტოკი. ნავთ-სადგურში მდგომი გემები „გრომობოი“, „როსსია“, „ბოგატირ“-ი, „რიურიკ“-ი და „ლენა“ სამოქმედოდ მოემზადნენ. გემებზე რაც რამ ხე იყო—ჩამოიღეს. გემები მზად არიან დაუყოვნებლივ ზღვაში გავიდნენ. არხი გაწმენდილია და ყინულის მტვრეველი გემები მუშაობენ.

მოსკოვი. საგუბერნიო საერობო კრებამ მოსკოვის საქველმოქმედო საქმეებისთვის 78 ათას მან. გადასცა.

ლონდონი. მინისტრ-პრეზიდენტი ბალფური ინფლუენციით ავად გახდა. ავადმყოფობა არ გაძლიერებულა.

ვილნო. ნავთსანთა კრება გუშინ დაიხურა.

დონის როსტოვი. საიმპერატორო რუსეთის სამუსიკო საზოგადოების აქაურ განყოფილების დირექცია ქალაქის წინაშე შუამდგომლობს, სამუსიკო სასწავლებლის შენობისთვის ადგილი დაგვითმეთო. ქალაქს საუსბოს ასაშენებლად 200 ათას მანეთის ვალად აღების ნება მიეცა.

ვლადივოსტოკი. საოპერეტო არტისტების სასარგებლოდ (თეატრის დაწვის დროს დაზარალდნენ) კაბინეტმა 5000 მან. უბოძა. 1500 მან. იმათ სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა.

21 იანვარი

პეტერბურგი. რადგან იმპერატორ ალექსანდრე I-ის ფორტში მყოფნი კარგად არიან და ლაბორატორიისა და შავი ჭირის წინააღმდეგ მოსამზადებელ სითხის შენობებში ხელმეორედ დეზინფექცია მოახდინეს, ამიტომ ფორტი უვნებლად არის გამოცხადებული. რადგან ამ ფორტიდან ნაპირზე მისვლა-მოსვლა ფორტში შავი ჭირის გაჩენის გამო შეწყვეტილი იყო, ეხლა გზა უკვე გახსნილია.

ვლადივოსტოკი. „ვოსტ. ვესტ“-ი იუწყება, რომ სეულ-ფუზანის რკინის გზა იაპონიის ჯარმა დაიჭირა.

იაპონიის საელჩოს დასაცველად სეულში რამდენიმე ზარბაზანი მიიტანეს. ცხენოსანთა ჯარის დასაბინავებლად სადგომებს აშენებენ. კორეის მთავრობა სამინისტროთა შტატებს ამცირებს. ჯერ-ჯერობით სამიწადმოქმედო დეპარტამენტი გააუქმეს.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). ბოლგარიის გაზეთებს ჯერ კიდევ მოსდით ცუდი ამბები საზღვრებიდან: ოსმალეთი საზღვრებზე მცველთა რაზმებს ამრავლებს და ახალი ჯარებიც მიჰყავს იქით. კარგად მცოდნე წრეებს ეს ამბები გადამეტებულად მიაჩნიათ.

სტამბოლი. სასანიტარო საბჭომ სირიიდან მომავალ გემებისათვის შავი ჭირის გამო დაწესებული ზომები ახსნა.

ბერლინი. გემის „ჰაბიხტ“-ის უფროსი იუწყება, რომ მტერმა ოჯინბინგვედან დაიხია.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებიდან 1903 წლის საერთო შემოსავალი 60 მილიონს შეადგენს; აქედან ხარჯი 29 მილიონამდეა; წმინდა მოგება 31 მილიონს აღემატება.

სინგაპური („რეიტ. სააგ.“). იაპონიის სამხედრო გემი „ნისინ“-ი მოვიდა. ხვალ „კასუგა“-ს მოელიან.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). დღეს პარლამენტი გაიხსნა. სეფე-სიტყვაში გამოცხადებულია, რომ ინგლისს სხვა სახელმწიფოებთან წინანდებურად გვარიანი განწყობილება აქვს. აღნიშნულია საფრანგეთთან შეთანხმება, რომელიც ძალიან ხელს შეუწყობს სამედიატოროდ გადასწყვეტონ საქმე, თუ ვინიცობაა სახელმწიფოებს დავა მოუხდათ; ამასთანავე შეთანხმების შესახებ ინგლისს იტალიასა და ჰოლანდიასთან აქვს მოლაპარაკება. განსაკუთრებით ისიც არის აღნიშნული, რომ ინგლისის მთავრობა სიხარულით იკისრებს რუსეთსა და იაპონიას საღავო საქმეები მოლაპარაკებით მშვიდობიანად გაათავებინოს. ტიბეტის შესახებ ნათქვამია: ჩინეთის მთავრობის დახმარებით ინგლისმა ტიბეტს პოლიტიკურის დავალებით ელჩები გაგზავნა, რომ სიკიმისა და ტიბეტის შესახებ 1890 წლის შეთანხმება აასრულოს. პეკინიდანაც ჩინეთმა თავის მოხელე გამოგზავნა, ელჩებთან ერთად იმოქმედოს. მეფე დაიმედებულია, ჩინეთისა და ტიბეტის მთავრობასთან შევთანხმდებით, რომ ინდოეთის ჩრდილო საზღვრებზე მშვიდობიანად ავიცილოთ უთანხმოებისა და ჩხუბის მიზეზებით.

ლონდონი. იაპონიის აქაურ საელჩოს მოხელემ, რომელმაც მოლაპარაკების საქმეები დაწვრილებით იცის, „რეიტერის სააგენტოს.“ წარმომადგენელს გამოუცხადა: თუ რუსეთი პასუხს აგვიანებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ რუსეთს ამით უნდა ისარგებლოს და საომრად მოემზადოს; პირიქით, რუსეთი ცდილობს უთანხმოება ბრძნულისა და მეგობრულის საშუალებით მოაგვაროსო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

აფხანაურის სანერგე
ამერიკულ ვაზისა

მიხრან ალ. ანანოვისა. იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქავე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვადასხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ $190^4/_5$ წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა. მიხრან ალ. ანანოვი (10—6—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფა**რველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მიკრობიერთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი გამოცემა
წერა-კითხვის საზოგადოებისა
ბურჯი ეროვნებისა,

თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—სამ შაურად.

Открыта подписка на 1904 годъ
(VII годъ изданія)
на еженедѣльную литературно-политическую газету, посвященную русско-японскимъ отношеніямъ, окраинамъ и инородцамъ.

Россія и Азія

съ приложеніемъ „АЛЬМАНАХА РОССІИ и АЗІИ“.

Газета имѣетъ собственныхъ кореспондентовъ въ Китаѣ, Японіи, Турціи, Перс на Кавказѣ и въ Сибири и получаетъ всѣ свѣдѣнія прямо изъ первыхъ рукъ. Она всегда слѣдитъ за всѣми событіями, происходящими на окраинахъ.

Въ случаѣ войны въ газетѣ будутъ потѣщаемы списки убитыхъ и раненыхъ Дальнемъ Востокѣ.

Подписная цѣна въ годъ 6 руб., на полгода 3 руб., заграницу 8 руб., и 4 руб.

Адресъ редакціи: Кіевъ, Владимірская, д. 72. (გ. 2—2)

Дозв. цена. Тифлисъ 21 января 1904 г.

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ამხ—ის, (Электропеч. Груз. Издат. Т—